აფხაზეთი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული

ქალბატონებო და ბატონებო!

უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა მოვახსენო საქართველოს საელჩოს ჩეხეთის რესპუბლიკაში, საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ქალბატონ თეა მაისურაძეს ჩვენი დელეგაციისთვის როგორც წინა მოსამზადებელ პერიოდში, ასევე ბოლო ორი დღის განმავლობაში გაწეული დახმარებისთვის, დაგეგმილი ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის; მადლობა ჩვენს ჩეხ სტუმრებს მობრძანებისთვის და თანადგომისთვის; მადლობა ქართულ სათვისტომოს, მის ხელმძღვანელს ქ-ნ მადინა ბოკერიას - აფხაზეთის ღირსეულ წარმომადგენელს. არ შეიძლება მადლობის სიტყვები არ ვუთხრათ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს ბ-ნ რუსლან აბაშიძეს, რომლის პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერის გარეშე დღევანდელი ღონისძიება ვერ შესდგებოდა. მადლობა ჩვენთან ერთად თბილისიდან ჩამობრძანებული დელეგაციის წევრებს - ბ-ნ ვახტანგ ყოლბაიას, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის უსამართლოდ მივიწყებული არზაყან ემუხვარის ისტორიული პიროვნების თანამედროვეობაში დაბრუნების საქმეში. მადლობა ახალი მემორიალური დაფის ავტორს, გამოჩენილ ხელოვანს, ასეთივე გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს ჯერ კიდევ დისიდენტობის დროიდან ბ-ნ ნუგზარ მგალობლიშვილს. ნებისმიერ საქმეს, მოგეხსენებათ, ჰყავს ინიციატორი - ადამიანი, რომელიც ხელს მოჰკიდებს და ბოლომდე მიიყვანს საქმეს. მადლობა ბ-ნ ზურაბ ჯგუბურიას, რომლის ინიციატივით დაწყებული საქმე დღეს ყველამ ერთობლივად დავაგვირგვინეთ. ჩვენს ვიზიტთან დაკავშირებული სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხების მოგვარებისთვის მადლობა ეკუთვნის ქ-ნ ნანა კვარაცხელიას.

ძვირფასო მეგობრებო!

ზუსტად 105 წლის წინ, 1919 წლის 20 მარტს აფხაზეთის ისტორიაში პირველმა დემოკრატიული წესით არჩეულმა ორგანომ - სახალხო საბჭომ მიიღო „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“. ეს ჭეშმარიტად ისტორიული დოკუმენტი საქვეყნოდ აცხადებდა: „აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში როგორც მისი ავტონომიური ერთეული“. დოკუმენტს ხელს აწერდა სახალხო საბჭოს პირველი თავმჯდომარე, ავტონომიის შესახებ აქტის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი არზაყან ემუხვარი. თავიდანვე, ანუ 1918 წლის მაისიდან საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში დე ფაქტო შემავალი აფხაზეთი ამიერიდან გახდა დე იურე მისი განუყოფელი და ორგანული ნაწილი, როგორც ეს იყო ოდითგანვე. დღევანდელ მიღებაზე დამსწრე მაღალ საზოგადოებას გვსურს შევთავაზოთ იმ ეპოქის მოკლე მიმოხილვა, რომელიც წინ უძღოდა აფხაზეთის ავტონომიის შესახებ აქტის მიღებას; გავიხსენოთ, თუ რა მისცა აფხაზეთს 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ყოფნამ და, ბოლოს, რა ღირებულების მატარებელია საუკუნეზე მეტი ხნის წინანდელი პერიოდის ისტორიული გაკვეთილი და გამოცდილება თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ქართული სახელმწიფოს წინაშე კვლავაც დგას აფხაზეთის დეოკუპაციისა და რეინტეგრაციის პრობლემა.

როგორც თქვენთვის კარგად არის ცნობილი, 1917 წლის თებერვალში მეფის ხელისუფლების დამხობისა და განსაკუთრებით იმავე წლის ნოემბერში მომხდარი კომუნისტური სახელმწიფო გადატრიალების შედეგად რუსეთის იმპერია დაინგრა. იმ ნანგრევებზე კი სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. რუსეთის გასაბჭოებამდე სამხრეთ კავკასიას მართავდა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, რომლის 5 წევრიდან ერთი იყო რუსი (თავმჯდომარე-ხარლამოვი), ერთი - სომეხი, ერთი - აზერბაიჯანელი, ორი ქართველი - აკაკი ჩხენკელი და კიტა აბაშიძე. აკაკი ჩხენკელი - იმჟამინდელი ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ აფხაზეთის მკვიდრი, სამურზაყანოს სოფელ ოქუმში დაბადებული და გაზრდილი, არზაყან ემუხვარის სიყრმის მეგობარი. მისი აქტიური მონაწილეობის გარეშე სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით აფხაზეთში არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ გადაწყვეტილა. ვინაიდან აფხაზეთში მაშინაც საკმაოდ რთული ვითარება იყო, ამიერკავკასიის მმართველმა ორგანომ - განსაკუთრებულმა კომიტეტმა, აკაკი ჩხენკელის რეკომენდაციით, 1917 წლის 24 მაისს სოხუმის ოკრუგში თავის რწმუნებულად არზაყან ემუხვარი დანიშნა. ის გახლდათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთის წარმომადგენელი და აფხაზეთში ძალიან პოპულარული პიროვნება თავისი რევოლუციური წარსულის გამო.

მონარქიული წყობილების დამხობის შემდეგ რუსეთში დემოკრატიული გარდაქმნები დაიწყო, რომელთა კვალობაზე განსაკუთრებული აქტუალობა ერთა თვითგამორკვევის საკითხმა შეიძინა. აღნიშნული პრობლემა უაღრესად მწვავედ დადგა კავკასიის ქედის

ორივე მხარეს, თანაც ეს ორი მხარე ვერ იყოფდა აფხაზეთს. ადმინისტრაციულად იგი ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს ექვემდებარებოდა, მაგრამ ეთნიკურ აფხაზთა მნიშვნელოვანი ნაწილი ისტორიული სამშობლოსკენ - ჩრდილოკავკასიისკენ იყურებოდა. 1917 წლის მაისიდან ჩრდილოეთ კავკასიაში იწყება გამაერთიანებელი მოძრაობა, რომელმაც მოკლე დროში რამდენიმე ეტაპი გაიარა და 1918 წლის 11 მაისს დამოუკიდებელი მთიელთა რესპუბლიკის გამოცხადებით დაგვირგვინდა. გამოცხადება მოხდა ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაზე. მთიელთა რესპუბლიკის დეკლარაციაში მითითებულია რესპუბლიკის საზღვრები. აფხაზეთი ამ საზღვრებში ღიად არ ფიქსირდებოდა, მაგრამ დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ რესპუბლიკის სამხრეთი საზღვრები დაზუსტდებოდა ამიერკავკასიის მთავრობასთან შეთანხმებით. წინასწარ მოგახსენებთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიის შემადგენლობაში აფხაზეთი არასოდეს შესულა, ის ყოველთვის სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, თუმცა ტერიტორიული პრეტენზიები მთიელთა რესპუბლიკის მხრიდან არ შეწყვეტილა.

ახლა ვნახოთ, რა ხდებოდა სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის საქართველოში. სამხრეთ კავკასიაშიც, ცხადია, ძალიან აქტიურად მიმდინარეობდა ერთა თვითგამორკვევის პროცესი. ქართველებმა 1917 წლის აგვისტოში შექმნეს ინტერპარტიული საბჭო და დაიწყეს მზადება ეროვნული ყრილობისთვის. საკუთარი ყრილობისთვის მზადება დაიწყეს აფხაზებმაც. სწორედ ამ დროს, 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) პეტერბურგში მოხდა კომუნისტური სახელმწიფო გადატრიალება, რუსეთი მოიშალა, გაწყდა კავშირი ცენტრსა და რეგიონებს შორის. აუცილებელი გახდა ამიერკავკასიის მმართველი ორგანოს - განსაკუთრებული კომიტეტის რეორგანიზაცია. 1917 წლის 11 ნოემბერს შეიქმნა ახალი მმართველი ორგანო - ამიერკავკასიის კომისარიატი ანუ მთავრობა ევგენი გეგეჭკორის ხელმძღვანელობით, აკაკი ჩხენკელი საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. ახალი მთავრობა არ ცნობდა პეტერბურგში ხელისუფლების სათავეში მოსულ საბჭოთა მთავრობას, მაგრამ არ დაუყენებია საკითხი რუსეთისგან გამოყოფის შესახებ. ამიერკავკასიის კომისარიატის იურისდიქცია ვრცელდება აფხაზეთზე, მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიას შორის გრძელდებოდა დაპირისპირება აფხაზეთისთვის.

როგორი იყო თვით აფხაზთა პოზიცია? 1917 წლის 7-8 ნოემბერს შემდგარმა აფხაზი ხალხის ყრილობამ, ერთის მხრივ, აღიარა ამიერკავკასიის მთავრობის ძალაუფლება - იურისდიქცია, მეორეს მხრივ, განაცხადა, რომ აფხაზები ერთიანდებიან ჩრდილოეთკავკასიელ მთიელებთან, მიავლინეს მათთან თავიანთი წარმომადგენლებიც. აფხაზთა ყრილობამ აირჩია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანო - სახალხო საბჭო, რომელმაც თავის თავზე აიღო აფხაზთა თვითგამორკვევასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. სამურზაყანოელები და აფხაზთა დიდი ნაწილი არ ეთანხმებოდა ჩრდილოეთ კავკასიასთან გაერთიანებას და სამხრეთ კავკასიის შემადგენლობაში ყოფნას უჭერდა მხარს. ვითარებას ართულებდა ის გარემოება, რომ ჩრდილოეთ კავკასიის უკან იდგა ოსმალეთის იმპერია, რომელიც მუჰაჯირების მეშვეობით ძლიერ გავლენას ინარჩუნებდა აფხაზებზე.

1917 წლის ბოლოსათვის უკიდურესად გამწვავდა აფხაზთა ორიენტაციის თემა. წარმოიშვა აფხაზეთის დაკარგვის საფრთხე. საჭირო გახდა ღონისძიებათა მთელი კომპლექსის განხორციელება, რათა აფხაზებს უარი ეთქვათ თავიანთ განზრახვაზე.

ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რომელიც ისტორიული ტერიტორიის დაბრუნებას და ამავე დროს აფხაზებთან დაახლოებასაც ისახავდა მიზნად, გახლდათ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის 1917 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება გაგრა - ბზიფის ზონის სოხუმის ოკრუგის შემადგენლობაში დაბრუნების შესახებ და სათანადო შუამდგომლობის აღძვრა რუსეთის დროებითი მთავრობის წინაშე. ამ გადაწყვეტილების ინიციატორი, რა თქმა უნდა, იყო აკაკი ჩხენკელი. ვინაიდან რუსეთის დროებითი მთავრობა დკომუნისტებმა დაამხეს, ამიერკავკასიის კომისარიატმა ე. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით თავის თავზე აიღო ამ საკითხის მოგვარება. 1917 წლის 7 დეკემბერს მან გააუქმა რუსეთის მინისტრთა კომიტეტის 1904 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება გაგრა-ბზიფის ზონის სოხუმის ოკრუგის შემადგენლობიდან გამოყოფის შესახებ.

ამიერკავკასიის კომისარიატის ეს გადაწყვეტილება ძალიან მალე იქცა საკმაოდ ძლიერ კოზირად საქართველოს ეროვნული საბჭოს ხელში, რომელმაც 1918 წლის 9 თებერვალს გამართა მოლაპარაკება აფხაზთა სახალხო საბჭოსთან. საქართველოს ეროვნული საბჭო 1917 წლის 19-23 ნოემბერს გამართულ პირველ ეროვნულ ყრილობაზე იქნა არჩეული ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. ეროვნული საბჭო დიდ ყურადღებას უთმობდა

აფხაზეთის პრობლემას, ცდილობდა საქართველოს თვითმმართველი ერთეულის შემადგენლობაში მის შემოყვანას.

1918 წლის 9 თებერვლის შეხვედრაზე აფხაზებთან ერთად მიწვეული იყვნენ ასევე სამურზაყანოს წარმომადგენლები, რომლებიც მტკიცედ იცავდნენ ქართულ ორიენტაციას. მათ ხელი უნდა შეეწყოთ აფხაზებთან ნდობისა და ურთიერთგაგების მიღწევისთვის. აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციას ა. შარვაშიძე ხელმძღვანელობდა; საქართველოს ეროვნული საბჭოს დელეგაციას - ა. ჩხენკელი. შეხვადრაზე გადაწყდა: „აღდგეს ერთიანი განუყოფელი აფხაზეთი მდინარე ენგურიდან მდინარე მზიმთამდე საზღვრებში, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საკუთრივ აფხაზეთი და სამურზაყანო“. **მითითებულ საზღვრებში ერთიანი და განუყოფელი აფხაზეთის აღდგენა შესაძლებელი გახადა ქართველების მხარდაჭერამ, სამხრეთ კავკასიასთან და საქართველოსთან ყოფნამ. სხვა შემთხვევაში ის ვერასოდეს დაიბრუნებდა 1904 წელს შავიზღისპირეთის გუბერნიისთვის მიერთებულ გაგრის ზონას, უფრო მეტიც, დარჩებოდა სამურზაყანოს გარეშეც.** გაგრის საკითხი 1917 წლის 7 დეკემბერს და 1918 წლის 9 თებერვალს არ დასრულებულა. 1918 წლის ოქტომბერში დენიკინის ჯარმა მდინარე ბზიფამდე ტერიტორია დაიკავა. გაგრა-ბზიფის ზონა საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა საბოლოოდ 1919 წლის 17 აპრილს გაანთავისუფლეს და ამაში დიდი როლი სოხუმის მკვიდრს, საქართველოს ეროვნული გვარდიის სახელოვან მეთაურს ვალიკო ჯუღელსაც მიუძღვის.

1918 წლის თებერვალ - მაისში აფხაზეთში და მის გარშემო უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენები ვითარდება. ძალიან მოკლედ შევეხებით ამ მოვლენებს. 1918 წლის 10 თებერვალს ბოლშევიკების მიერ დათხოვნილი რუსეთის დამფუძნებელი კრების ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა წევრებმა ამიერკავკასიის სეიმი - პარლამენტი ჩამოაყალიბეს კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით. ამით გადაიდგა ნაბიჯი სამხრეთ კავკასიის თვითგამორკვევისკენ, ერთიან პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებისკენ. სეიმის იურისდიქცია აფხაზეთზეც ვრცელდებოდა, მის შემადგენლობაში აფხაზეთის წარმომადგენლები, მათ შორის ეთნიკური აფხაზებიც შედიოდნენ.

სამხრეთ კავკასიაში განვითარებულ მოვლენებზე დიდი გავლენა მოახდინა 1918 წლის 3 მარტს რუსეთ-გერმანიას შორის დადებულმა ბრესტის ზავმა. აღნიშნული ზავის მიხედვით, ბათუმის ოლქი, ყარსისა და არტაანის ოლქები რუსეთმა გადასცა თურქეთს.

ბუნებრივია, სამხრეთ კავკასიის ფაქტობრივად ქართული მთავრობა ბრესტის ზავის პირობებს არ ეთანხმებოდა, მაგრამ თურქეთმა მას ანგარიში არ გაუწია, რადგანაც არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს. შექმნილ ვითარებაში ამიერკავკასიის სეიმმა 1918 წლის 22 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედრაციული რესპუბლიკის დაფუძნების შესახებ. აფხაზეთი ამ ახლადდაფუძნებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გახდა აკაკი ჩხენკელი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი თუ მოვლენა. 1918 წლის თებერვალ-მაისში საბჭოთა რუსეთიდან აფხაზეთში შეიარაღებული რაზმები შემოიჭრნენ. ეს რაზმები ძირითადად ქართველი და რუსი კომუნისტებით იყო დაკომპლექტებული სულ რამდენიმე აფხაზის მონაწილეობით. მცირე ხნით მათ ორჯერ დაიკავეს აფხაზეთი. პირველად ეს მოხდა თებერვალში სულ რაღაც 5-6 დღით, მეორედ - აპრილ-მაისში. 1918 წლის 17 მაისს ქართულმა ეროვნულმა გვარდიამ ვალიკო ჯუღელის სარდლობით აფხაზეთი გაანთავისუფლა. უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური აფხაზების უდიდესი ნაწილი ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოდიოდა, ადგილობრივი ქართველების - გლეხების უმრავლესობა, პირიქით, ბოლშევიკებს უჭერდა მხარს, რადგანაც პირდებოდნენ მიწის საკუთრებაში გადაცემას.

ამრიგად, 1917 წლის თებერვალში რუსეთში მონარქიის დამხობიდან 1918 წლის მაისამდე აფხაზეთი ადმინისტრაციულად იმყოფება ამიერკავკასიის შემადგენლობაში. ქართული ეროვნული საბჭო იბრძვის იმისათვის, რომ აფხაზეთი საშინაო საქმეებში სრული ავტონომიის უფლებით გაერთიანდეს საქართველოს თვითმმართველ ერთეულში; მთიელთა რესპუბლიკას სურს იხილოს აფხაზეთი თავის შემადგენლობაში; საბჭოთა რუსეთიდან შემოჭრილი საბჭოთა რაზმების მიზანი აფხაზეთისა და მთლიანად სამხრეთ კავკასიის კვლავ რუსეთთან მიერთება გახლდათ. ეს სამი ძალა იბრძოდა აფხაზეთისთვის.

ბრძოლის შედეგი დიდად იყო დამოკიდებული ადგილობრივი მრავალეროვანი მოსახლეობის ნებაზე. ეს ნება გამოვლინდა 1918 წლის 4-9 მარტს გამართულ სოხუმის ოკრუგის გლეხთა მეორე ყრილობაზე, რომელსაც სხვადასხვა ეროვნებისა და პოლიტიკური ორიენტაციის ადამიანები ესწრებოდნენ. ყრილობა, რომლის მოწვევა შესაძლებელი გახდა ქართველი და აფხაზი პოლიტიკოსების ერთობლივი მუშაობის

შედეგად, გახსნა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატების ლიდერმა არზაყან ემუხვარმა. მისი დამსახურებით, იქნა მიღებული გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ხალხების საერთო ოჯახში აფხაზეთის გაერთიანების შესახებ. იმ რთულ და დაძაბულ ვითარებაში ეს იყო ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება. ყრილობამ აირჩია გლეხთა საბჭო არზაყან ემუხვარის თავმჯდომარეობით. საბჭოს წევრად სულ 9 კაცი აირჩიეს, მათ შორის დიმიტრი გულია, რომელიც აფხაზეთის გასაბჭოებამდე არზაყან ემუხვარის თანამებრძილი გახლდათ. გლეხთა მეორე ყრილობის გადაწყვეტილებას ამიერკავკასიის ხალხების საერთო ოჯახში აფხაზეთის გაერთიანების შესახებ მხარი დაუჭირა აფხაზეთის განახლებულმა სახალხო საბჭომაც თავის 1918 წლის 20 მაისის სხდომაზე. აფხაზეთის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ამ ეტაპზე სამხრეთ კავკასიის, შესაბამისად საქართველოს სასარგებლოდ გადაწყდა, რაც არზაყან ემუხვარისა და მისი თანაპარტიელების დიდი დამსახურება გახლდათ.

ამრიგად, 1918 წლის 26 მაისამდე ამიერკავკასიის რესპუბლიკის შემადგენლობაში ყოფნამ და იმავდროულად საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან დადებულმა შეთანხმებამ, ქართული ეროვნული გვარდიის თავდადებამ უზრუნველყო აფხაზეთის ფარგლებში გაგრის, ასევე სამურზაყანოს შენარჩუნება. იმავე პერიოდში ქართველი და აფხაზი პოლიტიკოსების ერთობლივი მუშაობის შედეგად გამოიკვეთა აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაცია ამიერკავკასიისა და ქართული სამყაროს სასარგებლოდ.

ჩვენს მიერ მიმოხილული მოვლენების პარალელურად რთული პროცესები მიმდინარეობდა თურქეთისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკის საზავო კონფერენციაზე. 1918 წლის 11 მაისიდან კონფერენციას შეუერთდა მთიელთა რესპუბლიკაც, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამიერკავკასიის დელეგაციას მისი მთავრობის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი ხელმძღვანელობდა. მოლაპარაკება მიმდინარეობდა ჯერ ტრაპიზონში (1918 წლის 27 მარტიდან 14 აპრილამდე), შემდეგ კი ბათუმში (11 მაისიდან). კონფერენციაზე ჩამოსული იყვნენ არაოფიციალური პირები აფხაზეთიდან, რომლებიც კულუარულ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ თურქებთან და ჩრდილოკავკასიელებთან აფხაზეთის მთიელთა რესპუბლიკასთან გაერთიანების, კიდევ უარესი - აფხაზეთში მუჰაჯირებისაგან შემდგარი თურქი ჯარისკაცების გაგზავნის შესახებ. აკაკი ჩხენკელმა ყოველივე ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია

მიაწოდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს და მოითხოვა სოხუმიდან აფხაზი ეროვნების ოფიციალური პირების საჩქაროდ გამოგზავნა კონფერენციაზე, რომლებიც დაუპირისპირდებოდნენ თვითმარქვია აფხაზებს. ასეც მოხდა - სოხუმიდან ჩამოსული აფხაზები - სახალხო საბჭოს ოფიციალური წარმომადგენლები იყვნენ. ისინი ეყრდნობოდნენ ზემოხსენებული გლეხთა მეორე ყრილობისა და სახალხო საბჭოს 20 მაისის გადაწყვეყილებას, რომ აფხაზეთი ერთიანდება ამიერკავკასიის ხალხების საერთო ოჯახში. მიუხედავად ამისა, პროთურქულ ძალებს მუშაობა არ შეუწყვეტიათ, თუმცა კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს სწორი ინფორმაცია აფხაზეთში არსებული პოლიტიკური განწყობების შესახებ.

საზავო კონფერენციაზე შექმნილი ვითარების ანალიზმა, აგრეთვე ამიერკავსიის დელეგაციის შიგნით პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებში წარმოქმნილმა უთანხმოებამ აკაკი ჩხენკელი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს გადასარჩენად აუცილებელი იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაშლა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მისი ეს პოზიცია, უფრო სწორად, კატეგორიული მოთხოვნა დასაბუთებულია 1918 წლის 15 მაისს ბათუმიდან ნოე ჟორდანიას სახელზე გამოგზავნილ საკმაოდ ვრცელ წერილში. 16 მაისს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ეთანხმება აკაკი ჩხენკელის წინადადებას და იწყებს მზადებას დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ სახალხო საბჭო, რომელიც, სხვათა შორის, ბოლშევიკებმა დაშალეს, აფხაზეთის ერთადერთ ხელისუფლებად აქცია. 1918 წლის 11 ივნისს საქართველოს მთავრობამ სწორედ აფხაზთა სახალხო საბჭოსთან გააფორმა ხელშეკრულება, აღმოუჩინა მას პოლიტიკური, სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერა, რომლის გარეშე ის ვერც კი იარსებებდა. აღნიშნული ხელშეკრულების ძალით, აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს ნაწილი გახდა, მაგრამ მხოლოდ დე-ფაქტო.

1918 წლის ზაფხულში ადგილი ჰქონდა აფხაზეთზე ორმხრივ შეტევას - რუსულ-საბჭოურს და თურქულს. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა მასშტაბის ტრაგედიით დასრულდებოდა ეს ყოველივე, რომ არა ქართული ჯარის გმირობა, რომელმაც არა მხოლოდ გაანთავისუფლა აფხაზეთი, არამედ 1918 წლის 26 ივლისს ტუაფსეც კი დაიკავა. რუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ ქართველებთან ერთად 300

აფხაზი მხედარიც იბრძოდა. ასევე მოხერხდა 1918 წლის 27 ივნისს კოდორის მაზრაში შემოყვანილი თურქული დესანტის ნეიტრალიზება, რომელიც მუჰაჯირების შთამომავლებისაგან შედგებოდა. ვითარების სტაბილიზაცია მოხერხდა როგორც ქართული ჯარის, ისე სახელმწიფოებრივად მოაზროვნე აფხაზი მოღვაწეების ძალისხმევის შედეგად.

აფხაზთა სახალხო საბჭოს რეალური ძალაუფლებით აღჭურვა, ეთნიკური აფხაზების ხელში აფხაზეთის მართვის სადავეების გადასვლა, რუსი კომუნისტებისაგან და რუსი თეთრგვარდიელებისაგან, აგრეთვე თურქული ექსპანსიისაგან მისი დაცვა, ეკონომიკური და სამხედრო დახმარება - კიდევ ერთი სიკეთეა, რომელიც აფხაზეთს და, პირველ რიგში, აფხაზებს, საქართველოს შემადგენლობაში ყოფნამ მოუტანა.

1919 წლის 13 თებერვალს აფხაზეთში ჩატარდა მის ისტორიაში პირველი დემოკრატიული არჩევნები, გაიმარჯვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციამ არზაყან ემუხვარის ხელმძღვანელობით - სახალხო საბჭოში მან 40 წევრიდან 27 გაიყვანა. მისი პირველი თავმჯდომარე გახდა არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ხელმძღვანელი ანუ არზაყან ემუხვარი. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 1919 წლის 20 მარტს სახალხო საბჭომ მიიღო „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“. იმავე წლის მაისში სახალხო საბჭომ ჩამოაყალიბა კომისარიატი - აფხაზეთის მთავრობა; სოხუმის ოკრუგს ამიერიდან დაუბრუნდა თავისი ნამდილი სახელი - აფხაზეთი. სახალხო საბჭოს სათავეში ჩაუდგა ვარლამ შარვაშიძე, მთავრობას - არზაყან ემუხვარი.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი და რუსების მიერ მართული ადმინისტრაციული ერთეულის (სოხუმის ოკრუგის) დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში შემავალ პოლიტიკურ ერთეულად - დემოკრატიული წესით არჩეული წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მქონე ავტონომიურ აფხაზეთად ტრანსფორმაციის რთული პროცესის პირველი მთავარი ეტაპის დასრულება, ასევე საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამსახურებაა.

აფხაზეთის ხელისუფლებამ არა მხოლოდ მოახდინა ავტონომიური სტატუსის დეკლარირება, არამედ რეალური შინაარსიც შესძინა მას. 1919 წლის 30 მარტს მუშაობას შეუდგა აფხაზეთის საკონსტიტუციო კომისია. სახალხო საბჭოს უმრავლესობის ზოგადი მიდგომა ცენტრისა და ავტონომიის უფლებამოსილების საკითხთან

დაკავშირებით მდგომარეობდა იმაში, რომ აფხაზეთს, როგორც საქართველოს შემადგენლობაში შემავალ ავტონომიას და მის განუყოფელ ნაწილს, უნდა ჰქონოდა დამოუკიდებლობა საშინაო საკითხებში; საქართველოს კანონმდებლობა აფხაზეთზეც გავრცელდებოდა. სწორედ ასეთი მიდგომა ჩაიდო სხვადასხვა პროექტების შეჯერების შედეგად 1920 წლის 16 ოქტომბერს სახალხო საბჭოს სხდომაზე მიღებულ და დამფუძნებელი კრებისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტში. ამ დოკუმენტის საფუძველზე მომზადდა „დებულება ავტონომიური აფხაზეთის მართვის შესახებ“, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ 1921 წის 21 თებერვალს დაამტკიცა. „დებულებაში“ ჩადებული უფლებამოსილებებით, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, აფხაზეთი დე-ფაქტო 1919 წლიდან სარგებლობდა.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აფხაზეთს არასოდეს ჰქონია ისეთი ფართო უფლებები, როგორიც ენიჭებოდა მას აღნიშნული დებულებით - ეს იყო სრული თვითმმართველობა, სრული ავტონომია საშინაო საკითხებში. აფხაზეთის მართვის შესახებ დებულების ამოქმედება 1921 წლის თებერვალ-მარტში განხორციელებულმა რუსულმა ოკუპაციამ ჩაშალა, თუმცა ეს არ აკნინებს ამ დოკუმენტის ისტორიულ მნიშვნელობას.

ავტონომიურ აფხაზეთში, დანარჩენი საქართველოსაგან განსხვავებით, სერიოზულ პრობლემად იქცა საეკლესიო საკითხი. ავტონომიის ტერიტორიაზე ვერ ვრცელდებოდა საქართველოს I საეკლსიო კრების მიერ შექმნილი ცხუმ-ბედიის ეპარქიის იურისდიქცია. სოხუმის რუსი ეპისკოპოსი სერგი (პეტროვი) კი ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწეოდა. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ის 1917 წლის ივლისში შექმნილ კავკასიის საეგზარქოსოს ექვემდებარებოდა. სერგიმ მიზნად დაისახა ამ ე. წ. საეგზარქოსოდანაც სოხუმის ეპარქიის გამოყოფა, სანამ ქართული ეკლესია მოასწრებდა აფხაზეთზე თავისი იურისდიქციის გავრცელებას. ეპისკოპოს სერგის უკან თეთრგვარდიელი გენერლები იდგნენ. ერთი სიტყვით, სოხუმის ეპარქიის საკითხმა, გარდა წმინდა ეკლესიურისა, პოლიტიკური ელფერიც შეიძინა. 1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ავტონომიური აფხაზეთის მთავრობის, მისი თავმჯდომარის არზაყან ემუხვარის ხელშეწყობით და, რა თქმა უნდა, მიტროპოლიტი ამბროსი ხელაიას ძალისხმევით გატარებული ღონისძიებების შედეგად სოხუმის ეპარქია დედა-ეკლესიის

წიაღს დაუბრუნდა. ეს მოხდა 1919 წლის 7 ოქტომბერს აფხაზეთის საგანგებო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, რომელსაც ქართული, აფხაზური, ბერძნული და რუსული სამრევლოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საგანგებო საეკლესიო კრებამ ცხუმ-ბედიის ეპარქიას ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია ეწოდა. ეპარქიის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა მიტროპოლიტი ამბროსი ხელაია. ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რაფიელ ივანიცკი (ინგილო) ემიგრანტულ გაზეთში „დამოუკიდებელი საქართველო“ (პარიზი) სავსებით სამართლიანად წერდა, რომ მიტროპოლიტი „ამბროსი ბრძნულად და განსაცვიფრებელის პოლიტიკური ნიჭით განაგებდა ცხუმ-აფხაზეთის მეტისმეტად საპასუხისმგებლო ეპარქიას... იგი შეიქმნა მუნ ცენტრალ პიროვნებად, რომელიც ამ განაპირა კუთხეში განასახიერებდა საქართველოს მთლიანობის იდეას“.

აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობისთვის, პირველ რიგში, აფხაზებისთვის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის შექმნა ნიშნავდა მათი ასიმილაციისთვის, ეროვნული დისკრიმინაციისთვის, ხალხთა შორის შუღლის ჩამოსაგდების მიზნით თავის დროზე შექმნილი ინსტიტუტის - რუსული ეკლესიის ადგილობრივი ეპარქიის რეფორმირებას და ყველა ერის პატივისცემაზე, სიყვარულზე, ძმობასა და ერთობაზე, ანუ ქრესტეს მოძღვრებაზე დაფუძნებული ახალი ინსტიტუტის შექმნას.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ საქართველოს მთლიანობის იდეას მიტროპოლიტ ამბროსისთან ერთად ავტონომიური აფხაზეთის საერო ხელისუფლებაც განასახიერებდა. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **ავტონომიური აფხაზეთის მშენებლობა, პოლიტიკური, საეკლესიო და სხვა რეფორმების განხორციელება სეპარატისტული ძალების, აგრეთვე აფხაზეთში მოკალათებული რუსულ-საბჭოური და რუსულ-თეთრგვარდიული აგენტურის შეთანხმებულ და კარგად ორგანიზებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა.** ყველა დაპირისპირება ამ შავბნელ ძალასთან, მათ შორის შეიარაღებული ბრძოლა დენიკინის ბანდებთან, რუსეთიდან შემოგზავნილ კომუნისტურ რაზმებთან ხელისუფლების გამარჯვებით თუ სრულდებოდა, უპირველეს ყოვლისა, **ეს გახლდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში აფხაზეთში ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივად მოაზროვნე აფხაზ, ქართველ და სხვა ეროვნების პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეთა იმ ძლიერი გუნდის დამსახურება, რომელიც არზაყან ემუხვარმა ჩამოაყალიბა.** მისი თვალსაჩინო წევრები იყვნენ არზაყან ემუხვარი, ვარლამ შარვაშიძე, მიხეილ უბირია,

ვიანორ ანჩაბაძე, დიმიტრი გულია, პავლე გელოვანი, ვასილ გურჯუა, ტარას კვარაცხელია, ივანე ფაშალიდი, დიმიტრი ზახაროვი, ქრისტეფორე ავდალბეკიანი და სხვები. ავტონომიის მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკურ აფხაზთა ჩათვლით, მხარს უჭერდა სწორედ ამ გუნდს. აფხაზეთის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემებით იყო სულ დაკავებული ჩვენს მიერ უკვე ნახსენები ვალიკო ჯუღელი - სოხუმის მკვიდრი, საქართველოს ეროვნული გვარდიის სარდალი, რომელიც ასევე გახლდათ აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი.

სახალხო საბჭოს დასახელებულ წევრთაგან მინდა გამოვყო ხუთი პიროვნება - ვალიკო ჯუღელი, არზაყან ემუხვარი, ვარლამ შარვაშიძე, ვასილ გურჯუა, ივანე ფაშალიდი და დიმიტრი ზახაროვი. ეს ადამიანები იმავდროულად საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრებიც იყვნენ - ხუთივეს ხელმოწერა ამშვენებს აქტს საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. მეტად მძიმე აღმოჩნდა მათი ხვედრი.

ვალიკო ჯუღელი საბჭოთა ხელისუფლებამ 1924 წლის აჯანყებამდე შეიპყრო, დააპატიმრა და დახვრიტა;

არზაყან ემუხვარი თავის უახლოეს თანამებრძოლთან, აფხაზეთის შინაგან საქმეთა კომისართან, ძლიერ პიროვნებასთან და გამოცდილ პოლიტიკოსთან **მიხეილ უბირიასთან** ერთად 1921 წელს ემიგრაციაში წავიდა პრაღაში ცხოვრობდა; 1937 წელს არზაყანს საქართველოში მცხოვრები ვაჟი დაუხვრიტეს, როგორც „მტრის“ შვილი; 1939 წელს თვითონაც პარიზში გარდაიცვალა.

ვარლამ შარვაშიძე ექიმი გახლდათ, 1957 წლამდე იცხოვრა, მაგრამ მუდმივად მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

ივანე ფაშალიდი (იოანის ფაშალიდისი) - ბერძენი, ძალიან ცნობილი ექიმი. აფხაზეთის სახალხო საბჭოს ოქმებში შემორჩენილია მისი არაერთი გამოსვლა, როცა ის უპირისპირდება სეპარატისტებს, პროსაბჭოთა ელემენტებს და მტკიცედ იცავს საქართველოს ინტერესებს; 1921 წელს ემიგრაციაში წავიდა, დაბრუნდა საბერძნეთში, სადაც პროფესიულ საქმიანობასთან ერთად აგრძელებდა პოლიტიკურ მოღვაწეობას, იყო საბერძნეთის პარლამენტის წევრი. სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხარდამჭერად გამოდიოდა. „შავი პოლკოვნიკების“ დიქტატურის პერიოდში შინაპატიმრობაში იმყოფებოდა. 1967 წელს შინაპატიმრობაშივე გარდაიცვალა.

დიმიტრი ზახაროვი - ძალიან ცოტა ვიცით ამ ადამიანის შესახებ; მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ აფხაზეთში ის 1905-1907 წლების რევოლუციის წლებში გამოჩნდა და იყო არზაყანის ერთგული თანამებრძოლი; იცავდა საქართველოს ინტერესებს აფხაზეთში. დაუზუსტებელი მონაცემებით, 30-იან წლებში დახვრიტეს,

ვასილ გურჯუა - გასაბჭოების შემდეგ არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდა და იატაკქვეშეთში აგრძელებდა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. 1924 წლის 1 აგვისტოს ჩეკისტებმა ის დააპატიმრეს და ე. წ. ტროიკის გადაწყვეტილებით მალევე დახვრიტეს. იმისათვის, რომ ზუსტად წარმოვიდგინოთ არზაყან ემუხვარისა და მისი გუნდის წევრების პოლიტიკური შეხედულებები, პოლიტიკური პროგრამა მოვიტან ციტატას ვასილ გურჯუას გამოსვლიდან საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 2 აგვისტოს სხდომაზე, სადაც აფხაზეთის საკითხი განიხილებოდა. ვასილ გურჯუამ განაცხადა:

„ჩვენ გვესმის, რომ აფხაზეთის ინტერესები მჭიდროდ არიან დაკავშირებული საქართველოს რესპუბლიკასთან. და ჩვენ ამ რესპუბლიკაში გერებათ კი არ ვსთვლით თავს, არამედ თანასწორ მოქალაქეებად, მის ღვიძლ შვილებად (ტაში). რამდენიც უნდა დაგვწამონ ცილი ... ჩვენ სწორ გზიდან მაინც არ აგვაშორებენ. გზა კი არის შემდეგი: ერთი დემოკრატიული რესპუბლიკა და ერთი სახელმწიფოებრივი კანონი ყოველ საქართველოს ნაწილისთვის (ტაში). აფხაზეთი, როგორც ავტონომიური ერთეული, მაგრამ ნაწილი ამ საქართველოისა, მხოლოდ თავის შინაურ საქმეში იქნება დამოუკიდებელი. ჩვენ მიერ გამომუშავებული კონსტიტუცია თქვენ უნდა მიიღოთ და მოიწონოთ. თქვენ მიერ მიღებული სახელმწიფოებრივი კანონები ჩვენთვისაც იქნება სავალდებულო...

მაშ, გაუმარჯოს საქართველოს და მის დემოკრატიულ რესპუბლიკას, გაუმარჯოს დემოკრატიულად დარაზმულ ავტონომიურ აფხაზეთს, ამ საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს (ტაში)“.

ალბათ დამეთანხმებით, ამ სიტყვებს კომენტარები არ სჭირდება. მხოლოდ მოგახსენებთ, რომ ცენტრსა და ავტონომიას შორის ურთიერთობის თაობაზე ვასილ გურჯუას მიერ ჩამოყალიბებული ზოგადი პრინციპები დღესაც საკმაოდ აქტუალურია.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სწორად გათვლილი პოლიტიკის წყალობით მოახერხა ავტონომიურ აფხაზეთში მყარი სოციალური დასაყრდენის ჩამოყალიბება. პირველ რიგში, შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფდა აფხაზეთში მცხოვრები ერების პოლიტიკურ და ეკონომიკურ უფლებებში გათანაბრებას. მხედველობაში მაქვს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის 27 მაისს მიღებული კანონი მოქალაქეობის შესახებ. კანონის თანახმად საქართველოს მოქალაქეობა და აქედან გამომდინარე პოლიტიკური უფლებები

ენიჭებოდა ყველას, ვინც 1914 წლის 19 ივლისამდე ცხოვრობდა და მიწერილი იყო საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. საქართველოს პარლამენტმა 1919 წლის 28 იანვარს მიიღო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კანონი სანადელო, სახაზინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის შესახებ. **აღნიშნული კანონების თანახმად, აფხაზეთში მცხოვრები ათასობით სომეხი და ბერძენი საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე და მიწის მეპატრონე გახდა. მიწათმფლობელები გახდნენ ქართველებიც. ამის გამო უკმაყოფილო დარჩა მხოლოდ სეპარატისტთა მცირე ჯგუფი, სამაგიეროდ აფხაზეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის სახით საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და მისმა მთავრობამ საიმედო მოკავშირე და მყარი დასაყრდენი შეიძინა. ყოველივე ამით კომუნისტურ დემაგოგიასაც ყოველგვრი საფუძველი გამოეცალა.**

არ შევჩერდები იმაზე, თუ რამდენად აქტუალურია მოქალაქეობისა და მიწათმფლობელობის, ზოგადად კერძო საკუთრების პრობლემები ოკუპირებულ აფხაზეთში; შესაბამისად, რამდენად საინტერესოა ჩვენთვის 1918-1921 წლების პოზიტიური გამოცდილება.

ქალბატონებო და ბატონებო! როგორც თქვენს წინაშე წარმოდგენილი არც თუ ისე მოკლე მიმოხილვა გვიჩვენებს, 1918-1921 წლები ქართულ-აფხაზური ურთიერთობების თვალსაზრისით იყო უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდი, რომელიც გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

-მიუხედავად რთული პრობლემებისა, რომელთა ფესვები რუსეთის იმპერიის მიერ ათწლეულების განმავლობაში აფხაზეთში წარმოებული „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ, ქართველებმა და აფხაზებმა მოახერხეს დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოში მშვიდობიანი თანაარსებობა და აქტიური თანამშრომლობა ურთიერთმისაღებ პირობებში;

-მხოლოდ საქართველოსთან ერთობამ გახადა შესაძლებელი აფხაზეთის აღდგენა მის დღევანდელ საზღვრებში;

-საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წყალობით აფხაზთა ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია - სახალხო საბჭო - იქცა აფხაზეთის რეალურ ხელისუფლებად, რომლის არსებობას და ფუნქციონირებას ქართული სახელმწიფოს ფინანსურ-ეკონომიკური და სამხედრო დახმარება უზრუნველყოფდა;

-აფხაზი ეთნოსისთვის ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა გახლდათ რუსი ჩინოვნიკების მიერ მართული ადმინისტრაციული ერთეულის - სოხუმის ოკრუგის ავტონომიის სტატუსის მქონე პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბება დემოკრატიული წესით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოთი და მის მიერ დანიშნული მთავრობით;

-ავტონომიურ აფხაზეთში არსებობა შეწყვიტა რუსული ეკლესიის ადგილობრივმა ეპარქიამ, შესაბამისად შეწყდა აფხაზთა ასიმილაციის პოლიტიკაც, რომელიც ღიად წარმოებდა ათწლეულების მანძილზე;

-საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სწორი და პრინციპული პოლიტიკა უზრუნველყოფდა აფხაზეთში არსებული სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის, მაგრამ საერთო ანტიქართული მიზნის მქონე სეპარატისტების, აგრეთვე აშკარა აგენტურისა და სხვა ანტისახელმწიფოებრივი ძალების პოლიტიკურ ნეიტრალიზაციას;

-ავტონომიურ აფხაზეთში პოლიტიკურ სტაბილურობას, შესაბამისად საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უზრუნველყოფდა მოკლე დროში გამოკვეთილი აფხაზი და სხვა ეროვნების სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსთა ერთიანი და ძლიერი გუნდი;

-ავტონომიურ აფხაზეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საიმედო დასაყრდენად იქცა მისი მრავალეროვანი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა.

როდესაც ვსაუბრობთ აფხაზეთის წარსულზე, ყოველთვის ვფიქრობთ აწმყოზე, რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთზე; ვფიქრობთ იმ ისტორიულ გამოცდილებაზე, რომელიც შეიძლება დღეს იყოს ან ხვალ გახდეს საინტერესო. ერთი რამ ცხადია: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, ამ რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიური აფხაზეთის ჩამოყალიბება, სერიოზული მიღწევები როგორც სახელმწიფოს, ისე მისი ავტონომიის მშენებლობის საქმეში შესაძლებელი გახდა რუსეთის იმპერიის კრახის პირობებში და იმ ვითარებაში, როდესაც ეს იმპერია სამოქალაქო ომის ალში იყო გახვეული. სხვათა შორის, 1991 წელს, როდესაც ყოფილი საბჭოთა კავშირი სულს ღაფავდა, საქართველოს მაშინდელ ეროვნულ ხელისუფლებას მიეცა აფხაზურ მხარესთან ჩრდილოელი მედიატორის გარეშე დიალოგის წარმოების საშუალება და, გახსოვთ, მოხერხდა კიდევაც სერიოზულ საკონსტიტუციო საკითხებზე შეთანხმების მიღწევა. მართალია, ამჟამინდელი ვითარება განსხვავებულია, მაგრამ ადრე თუ გვიან, როგორც მოვლენების განვითარება გვიჩვენებს, უფრო ადრე, ვიდრე გვიან დადგება ჟამი, როდესაც აფხაზებთან ერთად ჩრდილოელი მედიატორის გარეშე მივუსხდებით მოლაპარაკების მაგიდას. ეჭვიც არ გვეპარება, ჩვენი თანაცხოვრების მდიდარი გამოცდილებისა და, რა თქმა უნდა, ახალი რეალიების გათვალისწინებით აუცილებლად მივაღწევთ შეთანხმებას...

გმადლობთ ყურადღებისთვის.